იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

პარასკევი 11 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 102 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 102

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით . . .	3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . .	1 შაური.

წლიური დასაკვეთიეთაზ ისწ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

შაბათს 12 ივლისს ამა 1914 წლისა დილით 8½ საათზე ქუთაისის ქართველთა რომის-კათოლიკეთა ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ანასტასია ანტონის ასულის

მურვანიშვილისა

მეორე ქმრით მებუკის

სულის მოსახსენებლათ, რასაც უზომოთ დაღონებულნი და გულდათუთქული შვილი მისი მიხეილ პეტრეს ძე მურვანიშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო. კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). -გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს - 1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

ქუთაისი
პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

ზ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშვის	10—11
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . .	11—2
მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½ 2მ

საღამოთ.

გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . .	5½—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტით. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი

ექიმის იკ. ბოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

შავიქვის მრეწველთა
საბჭო

იწვევს ერთ მასწავლებელ ქალს საგნების სასწავლებლათ ჭიათურის უმაღლესი პირველდაწყებით საქალო სასწავლებელში. ჯამაგირი ექნება 720 მ. და ბინისთვის 240 მან. წელიწადში, აგრეთვე იწვევს მასწავლებელ ქალს (ან კაცს) ფრანგულისა და გერმანული ენების სასწავლებლათ ამავე სასწავლებელში და აგრეთვე სავაჭრო დაწყებით სასწავლებლებში. წლიური ჯამაგირი 1200 მ.

თხოვნები მიიღება ქუთაისში მრეწველთა საბჭოში 1 აგვისტომდი.

მუშაობს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ყორყოლაძეების

სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა.** წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

აბანო.

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშვების ხაყმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

ექიმი **ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ექიმი **მ. დ. ბეთანოვი** იღებს კანისა, **ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9-12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ექიმი **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5- 8 საათ.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ექიმმა **ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

სტუდენტი

ვარლამ ფერაძე

ამზადებს მოწაფეებს **ყველა საგანში საშუალო სასწავლებლების** კლასებისათვის; აგრეთვე ამზადებს: აფთიაქის მოწაფეებს, 1 კლ. ჩინზე და სხვა.

ფასები მლიერ ხელმისაწდომია.

მისამართი: ფოსტის შესახვევი, კ. მკურნალის სკოლა. ნახვა შეიძლება: დილით 9—12 საათ. საღამოთი 4—7 საათ.

საღვთო სჯულის მასწავლებელთა

საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოშტარიასი.

საჭირო საკითხი.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ წინსვლას ბევრი რთული გარემოება აბრკოლებს. ერთი უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ერი ნივთიერათ ხელმოკლეა. ჩვენში არ არის საზოგადო სიმდიდრე; ჩვენში არ არსებობს საერთო თანხა, რომლის დანიშნულებაც ისაა, რომ ქვეყნის სასარგებლო საქმეს მოხმარდეს და საზოგადოება კულტურულათ წინ წასწიოს. ჩვენ საზოგადო კულტურულ დაწესებულებებს, როგორიცაა წ.-კ. საზოგადოება, დრამატიული, ეთნოგრაფიული თუ სხვა—არა აქვს ქონება. მათი სამოქმედო თანხა იმდენათ ვიწროა, რომ ათი და ასი თუმნით წლიური ხარჯთაღრიცხვის აწევა—ერთ აურზაურს გამოიწვევს ხოლმე ჯერ გამგეობაში და მერე მთელს საზოგადოებაში. უხარჯოთ კი არაფერი საქმე არ კეთდება. აი სწორეთ ამით აიხსნება, რომ ჩვენში უყურადღებოთ რჩება ისეთი საკითხები, როგორიც არის ნიჭიერი პირების შენახვა და მათი მოვლა.

ნიჭიერი და უნიჭო ჩვენში ყველა ერთად ეძებს ლუკმას და ეს ლუკმის ძებნა ისეთი მწვავე რამ არის, რომ ნიჭიერ ადამიანს შეუფერებელ და უნაყოფო პროფესიაზე მისდენის ხოლმე. ასეთი შემთხვევა მით უფრო მავნე და აუტანელია, რომ ნიჭიერი ადამიანი იღუპება და ისპობა. ჩვენში ჩვეულებრივია ასეთი მოვლენა, რომ ნიჭიერი მწერალი, რომელსაც შეუძლია თავისი მხატვრული ნიჭით სამშობლო ასახელოს, ღამის ორ საათზე რკინისგზის სადგურზე დგას და მატარებელს უცდის, როგორც მორიგე მოხელე—ანდა კანცელარიაში მაგიდას უზის და უნაყოფო მიწერ-მოწერაში სულსა ლაფავს იმ მიზნით,—რომ ყოველი თვის 20-ს მიღებული ჯამაგირით ცოლშვილი შეინახოს. მეცნიერული უნარით აღჭურვილი ახალგაზდა, რომელსაც აუარებელი ენერგია მზათა აქვს სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის ჩვენში, ან სასწავლებელში ზის და კვირაში 30 გაკვეთილს აძლევს, ან სასამართლოში ტრიალობს და დღეში ხუთ-ექვს საქმეს იცავს ან ოც-ოცდა ათს ავათმყოფს სინჯავს დღეში. ასეთი პირები მეცნიერულ რასმეს გამოიკვლევენ კი არა გამოკვლეულსაც ველარ ადევნებენ თვალს და ყოველ წლივ უკან-უკან რჩებიან.

რასაკვირველია, საჭიროა და ძლიერ სასარგებლოც კარგი მასწავლებელი, ექიმი და ვექილი, მაგრამ, ვისაც მეცნიერული უნარი შესწევს, ის პრაქტიკულ სფეროში არ უნდა ჩავაყენოთ. აქ იკარგება განძი, ნაყოფი მცირდება და ამით ზარალშია ეროვნული წინმსვლელობა.

როდის უნდა იმწერლოს მოხელე მწერალმა? როდის უნდა ემსახუროს მეცნიერებას მასწავლებელი, ექიმი, ვექილი? სავსებით არასოდეს—სხვათა შორის კი—ყოველთვის. მაგრამ ნორმალურია ასეთი მოვლენა? **სხვათა შორის** მწერლობა და მეცნიერების სამსახური განა შესაწყნარებელია? არა და არა. ეს არ ვარგა; ეს არის

ნიშანი ერის გაჭირვებისა, მისი განსაცდელში ყოფნისა. ასეთ გარემოებას წამალი სჭირდება. ეს ერთგვარი სატკივარია.

აუცილებელია, ყოველ ერს უნდა შეეძლოს თავისი მკვიდრი შვილი მწერალი თუ მეცნიერი შეინახოს. ლუკმა პურის ძებნაში არ უნდა იკარგებოდეს მწერლის ნიჭი და მეცნიერული უნარით აღჭურვილი ადამიანის ძალ-ღონე.

ჩვენში ძლიერ მომწიფებულათ მიმაჩნია საკითხი სალიტერატურო და სამეცნიერო ფონდის გაჩენისა. ჩვენ ძლიერ გვეჭირვება სპეციალისტები სხვადასხვა დარგში. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე — მიმალული განძი — მკვლევარებს უცდის.

ჩვენ საცოდავები ყველაფერს უცხოელისაგან ველით, უცხოელმა უნდა აგვიხილოს თვალი, თვარა ვერაფერს ვხედათ. ყოველგვარი მადნეულობა ჩვენში უცხოელმა უნდა აღმოაჩინოს. ჩვენს ეზოგარემოში ბაღები და ფერმები უცხოელმა მეურნემ უნდა გააკეთოს. ჩვენს ოჯახებში შენახული სიძველე უცხოელმა უნდა მოკრიფოს და გაუყენოს გზას. ჩვენი საყურადღებო ნაშთები ბერლინისა და პარიზის უნივერსიტეტში უნდა გაარჩიონ, თორემ აქ არავინ იტეხს ამაზე თავს. ვიძახით არა გვყავს კაცებიო და ამით ვითომ თავს ვიმართლებთ. აი ჩვენი ჩამორჩენა, აი ჩვენი სისუსტე და უძლურება!

აუცილებელია საკუთარი მეცნიერების აღზრდა. ერი შობს მომავალ მეცნიერს, ნიჭი იბადება, მაგრამ გზა არა აქვს მათ და აი, სწორეთ, აქ არის ჩვენი მოვალეობა შევქნათ ისეთი პირობები, რომ მწერალმა და მეცნიერმა ჩვენში ლუკმა პურის ძებნაში სული არ დალიოს და ნიჭი კუჭს სხვერპლათ არ მიართვას. ჩვენ უნდა გამოვსძებნოთ სახსარი — შევქნათ ფონდი და მივსცეთ საზრდო ქვეყნის სასარგებლოთ აღზრდილ თაობას. ამას მოითხოვს სამშობლოს სიყვარული, მისი მომავალზე მზრუნველობა და აგრეთვე პატივისცემა ნიჭისა და ადამიანის ღირსებისა. მართალია, ჩვენი ახალგაზდები მიისწრაფიან ევროპისაკენ და საზოგადოებაც ცოტაონდათ ხელს უმართავს მათ თუ სტიპენდიით, თუ კერძო ქველმოქმედებით, თუ სადამოების მოწყობით, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ გარჩევა არ არის, განსაკუთრებით ვინ რა მიზნით იზრდება და ვის რა ევალება. ჩემის აზრით, აუცილებელია განსაზღრული გზის ამორჩევა და ნიჭის შემოწმებაც — ყოველ მწერალს და ყოველ მოსწავლეს ვერ ვსცნობთ ღირსათ, რომ საზოგადო-საქვეყნო თანხით ისაზრდოოს. ამის გარჩევა **მკაცრი და მიუდგომელი** უნდა იქნეს. საზოგადო ქველმოქმედება სულ სხვაა და მე სულ თანხაზე ელაპარიკობ. **საქველმოქმედო** მიზანი სულ სხვაა და **სამეცნიერო** სულ სხვა...

სასურველია, ყველა ჩაუკვირდეს ამ საკითხს და გამოსთქვან თავისი აზრი: როგორ მოვაწყოთ, რომ ჩვენი მწერლები შევინახოთ და საკუთარი მეცნიერები აღვზარდოთ...

ტრიფონ ჯაფარიძე.

◆

ლოლუას მომღერალთა გუნდის სიმღერების გამო.

(ეთნოგრაფიული საზოგადოებ. საყურადღებოდ)

დიდი სიამოვნება განვიცადე გუშინდელ, ამ გუნდის სიმღერების მოსმენისაგან.

დიდი შრომა დაუხარჯავს ბ. ლოლუას, თავისი გუნდისათვის რომ უნოტოდ, უშუამავლოდ, ზეპირად ამდენი სიმღერა უსწავლებია.

დაუმუშავებელი ხმებიაო, ამბობდა ბევრი. მართალია, მაგრამ ხმები კი არა, თვით სიმღერები იყო სასიამოვნო და საინტერესო.

ქართული სიმღერების სიმდიდრემ, სიღრმემ და ჰარმონიულმა ხმაშეწყობილებამ უცხოეთის კომპოზიტორებიც კი მოხიბლა, — თუმცა ჩვენს გადაგვარებულ ინტელლიგენციას არ მოსწონს. მაგონდება, ვირმა რომ ბულბულის ხმა დაიწუნა.

რა იხატებოდა, მაგალითად, გუშინდელ სიმღერებში? ხან ღრმა მწუხარებით სავსე კვნესა და ღუღუნი, ხან სიყვარულის ალერსიანი ტიტინი და ჩურჩული ან მგზნებარე გულისთქმა, ხან ომის ყიჟინი, ხან უბრალო მხიარულება ბუნების შვილისა, ხან შრომის ხალისი... და ყველა ეს ხმების მდიდარი მიხვრა-მოხვრითა და სმენის დამატკბობელი მწყობრი ჰარმონიით შეზავებული.

დიაღ! აქ ცხოვრება და ესთეტიკა — ერთად არის შეზავებული. და ეს არის მიზეზი, მსმენელი რომ სიამოვნებას განიცდის.

მაგრამ უკუღმართ დროს, რაც კი რამე კარგი უანდერძებიათ ჩვენს წინაპრებს, თითქმის ყველაფერი თან მიაქვს.

ცოტაა ახლა კარგი მომღერალი და კიდევ უფრო ცოტაა კარგი მგალობელი!

და ეთნოგრაფიული საზოგადოების მოვალეობაა, ხელი შეუწყოს ქართული ეროვნული გალობის დაცვის საქმეს. ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა ამ მიზნისათვის 600 მანეთი გადასცა ხსენებულ საზოგადოებას და, იმედია, დროზე შეიძენენ ფონოგრაფსა და მოიწვევენ მცოდნე მგალობლებსა და მომღერლებს ქართული საეკლესიო და საერო საგალობლებისა და სიმღერების ფირფიტებზე გადასაღებად.

ვინდაც სწერდა, გალობის ფირფიტებზე აღნიშვნა უსარგებლოა, რადგან ფირფიტებიდან ნოტებზე გადმოღება ძნელიაო.

მაგრამ, ჯერ ერთი, რაც ზოგიერთისთვის ძნელია, სხვისთვის ადვილია, და, მეორე, ფირფიტებს შეუძლიათ აღნიშნონ და დაიცვან გალობის ნამდვილი კილო, გრძნობა, გულისთქმა, შინაარსი, ე. ი. ის, რაც ნოტებს არ შეუძლიათ. მაშასადამე, მხოლოდ ფირფიტების საშუალებით შეგვიძლია შევინახოთ, დავიცვათ ქართული საგალობლებისა და სიმღერების ნამდვილი ხასიათი. ამას კი, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როგორც მუსიკის განვითარებისა, აგრეთვე ეთნოგრაფიულ-ისტორიული მხრით.

და ეს საქმე მეტად საჩქაროა. ორიოდე მოხუცი-ღაა, საეკლესიო გალობა რომ იცის, მათ სიკვდილთან ერთად — ქართული საეკლესიო გალობაც მოკვდება. და მრავალი საუკუნის შრომის ნაყოფი, სულიერი სიმდიდრე, ეროვნული კულტურის ფასდაუდებელი განძი, რომელიც ჩვენმა მაღალ-ბუნებოვანმა მამებმა გვიანდერძეს, დაიკარგება ჩვენი დაუდევრობის გამო!

მივმართავ ეთნოგრაფიულ საზოგადოებასა და ვსთხოვ, დააჩქაროს ამ დიდი, საშვილიშვილო საქმის განხორციელება, ვიდრე ჯერ კიდევ არ არის გვიან.

ვასილ წერეთელი.

◆

დროზე შველა!

ყველამ კარგად იცის, რა მიწის სივიწროვეს განიცდის ხალხი საზოგადოთ საქართველოში და კერძოდ-იმერეთში. თუ სადმე კი გამოჩნდა გასაყიდი ადგილი ბანკის თუ კერძო პირის, ჩვენი დაუდევრობით სხვას უვარდება ხელში. მაგ., გელოვანები რომ დიდძალ მამულს ჰყიდდენ (მგონი „ლაფურის მთას) მცხოვრებლებს არა სჯეროდათ მისი გაყიდვა, თუ არა, როგორც „სახ. გაზ." კორრესპონდენტი იუწყებოდა, ხელიდან არ გაუშვებდენ და თვითონ იყიდდენ. ახლა გაზ. „იმერეთის" ფურცლებზე მოთავსებული იყო ცნობა, რომ თფილისის სახელმწიფო ბანკს დარჩა სს. ბაშსა და საყულიაში დიდძალი მამული, რომლი, ყიდვაც მოუნდომებია ორ სომეხს სომხების ჩამოსასახლებლათ. რამდენად ნამდვილი არის ეს უკანასკნელი ცნობა, არ ვიცი, მაგრამ ამ ადგილების გადასვლა სხვის და არა ადგილობრივ მკვიდრთ ხელში, სამწუხარო იქნება, ისედაც უმიწობით შევიწროებულ მშრომელი ხალხისთვის. რომ ეს ადგილები არ დაეკარგოს ხალხს, საჭიროა ამ ორივე სოფლის შეძლებულმა პირებმა ჩააგონონ ხალხს, რომ შეერთებული ძალით იყიდონ ბანკიდან ეს ადგილები, თუ არა შემდეგ გვიან იქნება. გვეყოფა ცარიელი სიტყვების რახა-რუხი და შევუდგეთ პრაქტიკულ ვუშაობას. შევეცადოთ, რომ არ დაეკარგოს მშრომელ ხალხს თავისი სისხლითა და ოფლით მორწყული მიწა-წყალი. ვსთხოვთ ზემო აღნიშნულ ადგილების გამგეს ბ-ნ მესხს-გამოუცხადოს ხალხს და გააგებიოს ამ საქმის ვითარება.

ვან. გ. ხონელოურელი.

◆

ჩვენი პრესა.

მომავალ სამელიორაციო ყრილობის შესახებ „სახალხო ფურცელი სწერს:

> 1914 წლის 7 დეკემბრისთვის განზრახულია სამელიორაციო ყრილობის გამართვა თფილისში. როგორც საკანონმდებლო დაწესებულებანი, ისე მთავრობა ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამელიორაციო საქმეს. სათათბიროს საკანონმდებლო წინადადების თანახმათ, მაგალითად, სამელიორაციო საჭიროებისთვის უნდა გადაიდვას სულ ‹ ‹ ნახევარ მილიარდი. პირველი ხუთი წლის განმავლობაში გადაიდება 150 მილიონი, აქედან 19 მილიონი კავკასიას უნდა მოხმარდეს. სამელიორაციო გაუმჯობესებათა საჭიროებას ჰლადებენ საზოგადოებრივი დაწესებულებანი და სპეციალური ყრილობანი. ამავე საჭიროებების გამოსარკვევად იკრიბება კავკასიის სამელიორაციო ყრილობა.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ **სამელიორაციო საქმე** ეწოდება: მეურნეობის თვალსაჩინოთ გაუმჯობესობას, ჭაობების ამოშრობას, ურწყაე ადგილების სარწყავათ გადაქცევას, არხების გაყვანას მამულის გაპატივებას და სხვა ამ გვარ საშუალებათ, რომელიც შეძლებას მისცემს მეურნეს მეტი შემოსავალი ჰქონდეს მამულ-დედულიდან.

ეჭვი არ არის რომ სამელიორაციო ყრილობას თფილისში დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ მეურნისათვის და ამიტომ კარგი იქნება თითოეულმა საერო ქართულმა დაწესებულებამ თავისი წარმომადგენელი დაასწროს ამ ყრილობა და დასაბუთებული მოხსენებაში წარადგინოს ქართველ მეურნის საჭიროებათა შესახებ.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

◆ 9 ივლისს ქალაქის თეატრში ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდის მიერ კონცერტი გაიმართა. კონცერტმა საზოგადოთ კარგათ ჩაიარა. ხალხიც ბლომათ დაესწრო. გუშინ ბ. ლოლუა თავის გუნდით დ. ყვირილას გაემგზავრა.

◆ 27 ივნისს დ. ხონში მოხდა სამღვდელოების კრება. კრებაზე, სხვათა შორის, დაადგინეს: შეძენილ იქნას საეკლესიო ბიბლიოთეკისთვის ეპ. ლეონიდის ახლად გამოცემული ქართველ წმინდანებზე ქადაგებანი და ახსნა-განმარტება სახარებისა არქიმანდრიტ პირის შედგენილი.

სამღვდელოებამ აგრეთვე იქონია მსჯელობა სოფლათ სხვადასხვა ჩვეულებაზე, განსაკუთრებით მიცვალებულთა გასვენებებზე და დაადგინა: ჩვეულებების წინაამდეგ სამღვდელოებამ ზომები მიიღოსო.

◆ 9 ივლისს მახიობმა დათიკო ჩარკვიანმა თავის ბინაზე კარბოლის სიმჟავე დალია. მას ჯერ ოჯახური წესით დახმარება აღმოუჩინეს, შემდეგ ექიმიც მოუყვანეს. ჩარკვიანი სიკვდილს გადარჩა.

◆ როგორც საზღვარგარეთიდან ქ. მარსელიდან გვატყობინებენ აბრეშუმის პარკი ამ ჟამად 67 მანეთად გადის.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობას ფოთის ქალაქის თვითმართველობა სთხოვს, გაუგზავნოს მას სავაჭროების ნორმალური დასვენების სავალდებულო დადგენილების ერთი ასლი.

◆ 7 ივლ. ჩხარში ღამით ბიკტორ არაბიძის დუქანს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე გაძლიერდა, რადგანაც ხან ზენა და ხან ქვენა ქარი ქროდა. ქუჩის ორივე მხარეს 40 დუქანი გადაიწვა. დაიწვა აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობისა და სამკითხველოს შენობა. კასა და საბუთის ქაღალდები გადაარჩინეს. ზარალი 100,000 მან. უდრის. დღეს ჩხარი საზარელ სურათს წარმოადგენს.

◆ შაბათს, 5 ივლისს, ღამით, აბჟანდაძის დუქანსაც წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ დროზე გაიგეს და ჩააქრეს.

◆ პარასკევს, 4 ივლისს, სამტრედიის საზაფხულო კლუბში დასავლეთ საქართველოში მოგზაურმა გუნდმა ბ. ლოლუას ლოტბარობით სალამო-კონცერტი გამართა. სალამო ოთხ განყოფილებიანი იყო. იმღერეს ბევრი მეგრულ-იმერულ-გურული სიმღერა. წაიკითხეს გურული სცენები, რომელმაც ხალხი ბევრი აცინა. საზოგადოება საკმაოთ დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

◆ ქიათურის შავიქვის საბჭოს დ. ქიათურაში ჰქონია ორი მასწავლებლის თავისუფალი ადგილი 1 მასწავლებლის ქალისა, პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც წლიურათ მიეცემა 720 მანეთი და ბინის ქირათ კიდევ 240 მანეთი. 2 ფრანგულისა და გერმანულის ენების მასწავლებლის ადგილი, რომელსაც წლიურათ 1200 მანეთი ექნება.

მასწავლებლები მიღებული უნდა იქნენ მომავალ სეკტემბრის პირველ რიცხვამდი.

◆ ბაღდადის საბოქაულოდან შემდეგს გვწერენ: აქ ყვირილაზე ხიდი ძალზე

სოფ. გოდოგანის ნაშთები.

მოწამეთის ახლოს, წყალწითელას გაღმა, აღმოსავლეთით მდებარეობს სოფ. გოდოგნის კუთნილი მთა, რომელიც დახვრეტილია მღვიმეებათ. ერთ-ერთ მის გამოქვაბულში მუშაობდენ ამ სამი კვირის განმავლობაში ტიუბინგენის პრივატდოცენტი დოქტორი რ. რ. შმიდტი და მისი ასისტენტი ვინმე კოზლოვსკი, ტომით პოლონელი. სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით უნდა მოეხდინათ არქეოლოგიური გამოკვლევა და ნაპოვნი ნაშთები უნდა გაეგზავნათ პეტერბურგში. რამდენათ შეასრულეს ეს პირობა, არ ვიცით, მხოლოდ დიდის თხოვნისა და აჯის შემდეგ ძლივს დაგვითმეს ორიოდე ნაპოვნი ქვის იარაღები. საქმის ვითარებას, რომ ახლოს გავეცნობოდით და ნაშთებიც საკმარისათ გვქონოდა საჭირო შეიქნა ჩვენ თვითონ წავსულიყავით და გაგვეთხარა ის გამოქვაბული. ნაშთებთან ერთად წამოვიღეთ მიჩნეულ ნაწოლთა (პლასტა) მიწაც. ნაშთები შეიცავენ შემდეგნაირ იარაღებს: დანებს, დანის პირებს, საქლიბავთ, დაუმთავრებელ იარაღებს, შეილდის სალაშინსა და სხვ. ამ ნაშთებს დავყოფთ ეპოქებათ, მოვათავსებთ მიჩნეულ ეპოქის მინაში, მოვაწყობთ მუზეუმისათვის ახლათ შეძენილ განჯინაში და გადავცემთ ქ. ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

გამოქვაბული შეიცავს ექვს ნაწოლს (პლასტს): ნიადაგს (Humus), ნათიხნარს (აყალო მიწა), ნაკერვალს (შავი მიწა), ისევ ნათიხნარს, შემდეგ ისევ ნაკერვალს და ბოლოს კიდევ ნათიხნარს. ჩვენთვის ყველაზე საგულისხმოა ნაწოლთა ორივე ნაკერვალები, სადაც იქნა ამოთხრილი ზემო მოყვანილი ნაშთები. ეს ნაწოლები სხვ. და სხვ. ზომისაა მათს სხვ. და სხვ. ნაწილებში. დოქტორ შმიდტის ზომით[1]) პირველი ნაკერვალი იყო ერთ თავში 25 სანტიმეტრი სიმაღლით, მეორე თავში 20 სანტ. მეორე ნაკერვალი კი 10 სანტ. ნაკერვალები ერთმანეთს უპირდაპირდებოდა ისე, რომ ქვედა ნაკერვალის ნაწოლი რომ განვგეგრძო მის მიღებულ მიმართულებით, ამით გადიჭრებოდა პირველი ნაკერვალის ნაწოლი მისი სიგრძის უკანასკნელ მეოთხედში, ასე რომ ნაკერვალები ერთს დაუსრულებელ სამკუთხოვანს ქმნიან, რომლის ერთი სრული გვერდიც პირველი (ზედა) ნაკერვალია, მეორე დაუსრულებელი კი ქვედა, მეორე ნაკერვალია, ხოლო ფუძი კლდის გვერდია. გეოლოგიურათ ეს გამოქვაბული ეკუთნის დილუვიუმის[2]) ეპოქას, ყინვის ეპოქის ბოლონდელ ხანას. დილუვიის წინამორბედ ხანაში ადამიანისა თუ მის მოქმედების ნაშთი ჯერჯერობით არსად უნახავთ. მაგრამ, რადგანაც დილუვიუმში ადამიანი უკვე საკმაოთ განვითარებული ჩნდება ჩვენს წინაშე, უმეტესი ნაწილი მეცნიერთა იმ აზრისაა, რომ ადამიანი უკვე დილუვიუმის წინა ხანაში ე. წ. ტერციის ხანაშიც იყოვო, მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოტეზაა. — მთელი დილუვიის ხანა იყო ყინვის ხანა, ევროპის უმეტესი ნაწილი (საფრანგეთში კი ყველაზე მცირე) დაფარული იყო ან და იფარებოდა ყინვის საფარით. ნელის, მედიდურობის ნაბიჯით იწეოდა ყინვა მაღლობებიდან მდაბიოსაკენ და მოფხიკნიდა წინა პირით და გვერდებით იმ ნიადაგს, სადაც ჩოჩავდა. მის მიერ მთების ნივთიერების შორს მდელო-ვაკეზე გადაჩოჩებითა და ნიადაგის წაფხეკნით მან დატოვა უტყუარი საბუთები მისი არსებობისა. ყინვა რამდენჯერმე იწეოდა ზემოთკენ და ისევ ჩამოდიოდა ქვემოთკენ.

თუ რა გვარი პირუტყვნი და არსნი იმყოფებოდენ მაშინდელ დროში, ამას საუკეთესოთ გვასწავლის საფრანგეთი, რადგან იქ უმეტესი ნაწილი თავისუფალი იყო ყინვიდან და არსთაც უფრო თავისუფლათ შეეძლოთ თავის შენახვა. აქ აღვნიშნავ პირუტყვთა მხოლოდ რამდენიმე გვარს: უფრთებო ვეებერთელა ფრინველები Didornis giganteus და სხვ., რომელთა სახსენებელიც ახლა აღარაა; მამუთი — Elephos primigenius, უშველებელი სპილო, უმეტეს ნაწილათ ციმბირში, რომელიც მისი სამშობლო უნდა იყოს, შემდეგ შუა და ქვედა ევროპაში (იტალიაში კი არა); საყურადღებოა რქაცხვირა — Rhinoceros, რომელიც რამდენიმე გვარებათ იყოფებოდა — ის დიდი, გრძელთმიანი პირუტყვი იყო, რომლის ცხვირზე ორი 80 სანტიმეტრის სიგრძის რქები იზდებოდა. ფრიად გავრცელებული, ადამიანის ყველაზე უფრო შემაშინებელი საფრთხობელა იყო გამოქვაბულთა დათვი, რომელიც გავრცელებული იყო ევროპასა, ციმბირსა და ამიერკავკასიაში. ფრიად დიდი, მძლავრზე უმძლავრესი, თავისი კბილთა ღონივრობით ის მუდმივ მტრობაში იყო ადამიანთან, რადგან ადამიანი მაშინ მას სამფლობელოში, გამოქვაბულთა მჭიდროებაში, ეცილებოდა. ზოოლოგიური სახელი Ursus spelaeus. მასთან ერთად გავრცელებული იყო გამოქვაბულთა ლომი leo spelaeus[3]) და აფრა Hyaena spelaea, ვეფხვი და სხვ. — მწოველთა შორის შესანიშნავია ძველთ უძველესი ხარი Bos primigenius[4]), ამავე გვარის იყო ბიზონი ან ვიზენტი Bizon. ყველაზე უფრო გავრცელებული, ქვის ხანისთვის დამახასიათებელი ცხოველია Ranngifer tarandus, ირმის დაგვარი ცხოველი, რომელმაც მე-18 საუკუნემდი მოაწია ხოლმე. შემდეგ აღვნიშნავთ ცხენს, მაგრამ დიდი შეცდომაა ვიფიქროთ, რომ ახლანდელი ცხენი მაშინდელი გვარისაგან იყოს წარმოშობილი. საფრანგეთის დილუვიის ეპოქაში, ცხენი ფრიად ხშირი მოვლენაა (Saloutré); იმ დროინდელ ამერიკაშიც ბლომათ იყო ცხენი. ნეოლითიური (თლილი ქვის) ხანაში კი ცხენი მეტის მეტათ „იშვიათია და ბოლოს სრულებით უცნობი პირუტყვია. ძველ ეგვიპტეშიც არ ინახულება ცხენი (მე-17 დინასტიამდი) — ასე რომ უწინდელი ცხენის გვარი ევროპა-ამერიკაში, რომლის ხორცითაც იკვებებოდა მაშინდელი ადამიანი, გაქრა და დაუთმო ადგილი ახალ გვარს, რომელმაც პირველათ მესოპოტამია-ბაბილონიის კულტურის სფეროში ამოყო თავი, როდესაც ინდო-გერმანელების ერთმა შტომ აზიის ერების სამფლობელოს დაუწყო რბევა. და მე-16 ს. ქ. წ. ბაბილონიიდან ცხენი საოცარის სისწრაფით გავრცელდა მთელს მაშინდელ კულტუროსან სივრცეზე, მაგრამ ახლა ის აღარ იყო ადამიანის მკვებარი ცხოველი, არამედ მისი შრომა-ტვირთვის მოზიარე.

მცენარეულობა კი ალაგ-ალაგ ფრიად მწირი, ალაგ კი ტროპიული იყო. ლერწამი, მუხა, პალმები, ნაძვი აჰრელებდენ მიდამოებს.

რაც შეეხება ადამიანს, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ევროპაში, არქეოლოგიურათ ამ საუკეთესოთ გამოკვლეულ მიწის ნაწილში, იგი დილუვიის ხანის უკანასკნელ ეპოქაში არსებობდა ხოლმე, ე. ი. უკანასკნელ ყინვიანთა შორის ეპოქაში და უკანასკნელ ყინვის ეპოქაში. ფრიად ძნელი საკითხია, თუ რამდენი ხანია, რაც ადამიანი პირველათ გამოვიდა არსთა შორის. მეცნიერები ითვლიან ხოლმე თუ რამდენი ხანი მოუნდებოდა იმ ნაწოლის ტკეპნას, რომელშიც პოულობენ ადამიანის ძვლებს თუ არტეფაქტებს (იარაღებსა), და ამით სურთ დაახლოებითი წარმოდგენა შექმნან პირველყოფილობის დროის სიშორეზე ჩვენგან. ასეთ გამონაგარიშ

---

[1] რადგან ნაწოლთა ურთიერთობა თხრის დროს ძალზე დაურღვევიათ, ერთი ნაწოლი კი სრულებით მოუშლიათ, საუკეთესოთ ვსანი გაზომვა არ გამეორებია.

[2] თანამედროვე გეოლოგები შემდეგნაირათ ყოფენ ჩვენი პლანეტის განვითარებას საფეხურებათ: ძველთ-უძველესი (არქაული), პალეოძოური, მეზოძოური და კენოძოური. ეს უკანასკნელი იყოფა ტერციისა და კვარტერის ხანათ. კვარტერის ანუ დილუვიის ხანა ბევრათ უფრო მოკლე ხანს გრძელდებოდა, ვიდრე ტერციისა. მცენარეთა და ცხოველთა განვითარებისათვის ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს, ხერხემლიანთა და ადამიანის განვითარებისთვის კი დილუვიის ეპოქას.

[3] ძველ ბერძ. მწერლებთა მოწმობით, ლომი უფრო ჩრდილოეთითაც ყოფილა გავრცელებული: ფრაკიასა და მაკედონიაში (ჰეროდოტე) ჩრდილოეთ საბერძნეთში (არისტოტელი), საქართველოშიც უნდა ყოფილიყო, რადგან მისი სამშობლო ბაბილონია-ასირია, სირია-სპარსეთი ჩვენი მომიჯნავეები იყვენ. ამ მოკლე ხანში ქიათურიდან ჩამოიტანეს გაქვავებული ლომის (ვეფხვის?) თავი — საუკეთესო საბუთი მისი ჩვენში არსებობისათვის.

[4] ცეზარი აგვიწერს ამ ცხოველს ჰერკინეთის ტყეში გერმანიაში: სიდიდით სპილოს ცოტათი თუ ჩამოუვარდება, მოყვანილობით, ფერით და თავით ხარის მგვასი, ფრიად ღონიერი და სწრაფი... მისი მოშინაურება შეუძლებელია და სხვ. მის რქებს გერმანიაში ყანწებათ ხმარობდენ. 1429 წ. უკანასკნელათ მოიხსენება მისი რქის ყანწები ხელმწიფე სიგიზმუნდის დროს.

გუეპებულია. ზედ გავლა მგზავრების ყოვლად შეუძლებელი ხდება, და მთელი ამ კუთხის მშრომელ ხალხს სანოვაგე ბაზარზე გამოუტანელი რჩება. აგერ შემოდგომა მოაწევს, წელს ყურძენს კარგი პირი უჩანს და ვაზებზე უნდა ჩამოგვილპეს. თუ ვინმე არ ამოგვიჩნდა და მანამდი ხიდი არ გაგვიკეთდა, ამით ისარგებლებს ადგილობრივი ყურძნის მყიდველი აზნაური და ამდენ ყურძენს მუქთად ჩაიგდებს ხელში. საჭიროა, ვისაც ჯერ არს, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

◆ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა სამეცნიერო კრებული „ცხოვრება და მეცნიერება“.

◆ სანიტარმა ვ. ბეჟანეიშვილმა, ბარათაშვილისა და ჩაჩანიძის თანადასწრებით ოქმი შეუდგინა ქარვასლის ქუჩაზე ივანე კაპანაძეს სანიტარული წესის დარღვევისათვის.

◆ ხუთშაბათს, 3 ივლისს, საღამოს 7 საათზე დ. ყვირილაში შემზარავი ამბავი მოხდა; ადგილობრივმა ხაზინის მოხელემ ქდანინმა რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა ციხის მწერალი ტიშჩენკო და თავისი მეუღლე, როცა ისინი რკინის გზის ლიანდაგზე დასეირნობდენ ერთად. ამბობენ, მათ ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათო.

◆ ცნობა მოვიდა, რომ კომერციული სასწავლებლის წესდება უკვე დაუმტკიცებიათ.

◆ ამას წინათ ჩვენს გაზეთში ახალ ამბებში მოთავსებული გვქონდა, რომ პუშკინის ქუჩაზე მერძევესათვის ნახარჯის მიუცემლობისგამო ჩხუბი მოსვლოდესთ მასთან რამდენიმე პირს და ლევორვერებით დამუქრებოდენ მოკვლას. ეს ცნობა მართალი არ გამოდგა. ჩხუბი მოსვლიათ არა ნახარჯის მიუცემლობის გამო, არამედ ზედმეტი ფულის მოთხოვნისათვის და არც რევოლვერებით დამუქრებიან მას.

◆ 13 ივლისს ს. ჯიხაიში დანიშნულია ადგილობრივი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წევრთა წლიური კრება, სხვადასხვა საკითხის გასარჩევათ.

თფილისი

ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორმა ა. ბ. მდივანმა სკოლის გამგე კომიტეტს განცხადება წარუდგინა, რომლითაც უარს ამბობს ამ თანამდებობაზე.

— პეტროვის შესახვევი (ვერაზე) მეტად უსუფთაოთ არის და პატრონი არავინა ჰყავს. ქუჩაზე საშინელი სიმყრალეა. დროა ქალაქის გამგეობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

— მასწავლებლების დანიშვნა. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 8 ივლისის კრებაზე კავკავის ქართულ სკოლის გამგე და მასწავლებლები ამოირჩია. გამგედ დანიშნა კიცხის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველი სავლე აგულაძე, რომელსაც გორის სასოსტატო სემინარია აქვს დასრულებული, ხოლო მასწავლებლათ დაინიშნა: აცანის (გურია) ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველი გიორგი მიქაბერიძე და ნიკორწმინდის (რაჭა) ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველი გიორგი ჰანტურაია.

— თავისუფალი სტიპენდიები. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში განთავისუფლდა ოთხი სტიპენდია: სამი — ზუბალაშვილის სახელობისა, ხოლო ერთი — ნ. ლოლობერიძისა.

— ჩხრეკა. ამ დღეებში, ჟანდარმთა სამართველოს განკარგულებით, გასჩხრიკეს შემდეგ, სტუდენტების ბინა: გიორგი მელითაურისა, ვახტანგ კოტეტიშვილისა და მიხეილ საყვარელიძისა.

— რევიზია. ქ. შ. წ. კ. გამავრ. საზოგ. თუაფსეს განყოფილების სარევიზიოთ, თანახმად ამ განყოფილების სურვილისა, ამ დღეებში მიემგზავრება მთავარ გამგეობის თავჯდომარის ამხანაგი ა. ბ. მდივანი.

— საპედაგოგიო კურსების (ხონში) მოსასმენათ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 40 მ. დახმარება მისცა ყაღამშიისა და გომარეთის სკოლების მასწავლებლებს.

— პროფესორ ალ. ხახანაშვილის ანდერძის სისრულეში მოსაყვანათ მოსკოვში წასული ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის წევრი ალ. ყიფშიძე ამ ჟამად საქმეს ათავებს მოსკოვის ოლქის სასამართლოში და ჩქარა თფილისს ჩამოვა. როგორც ვწერდით, განსვენებულმა 45,000 მანეთამდი უანდერძა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას.

თფ. ტრამვაის მუშათა გაფიცვა.

გუშინ, 9 ივლისს, ტრამვაის მუშათა გაფიცვა დაიწყო და დილიდანვე შესწყდა მთელს თფილისში ჩვეულებრივი მოძრაობა და მაჯისცემა. მთელი ქალაქი უძრავ სამარეს დაემსგავსა, რადგანაც ამ ჟამად თფილისში ისეთი ჯოჯოხეთური და სულის შემხუთველი სიცხეა, რომ ხალხს ფრიად საჭირო საქმეზეც უმძიმს სადმე ფეხით წასვლა.

ეს გაფიცვა მოულოდნელი აღარ იყო, რადგანაც უკვე თვეზე მეტია ტრამვაის მუშებმა ბელგიის უსახელო საზოგადოებას მოთხოვნილება წარუდგინეს, რომლითაც თხოულობდენ 1) 1911 წლიდან 1914 წლის მარტამდი ზედმეტ დროის ნამუშავერის ფასსა და 2) იმ შარვლებისა და ხალათების ფასს, რომელიც მუშებს

ხელის მომწერთა
ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ.

დღიდან ჩვენი გაზეთის „იმერეთის„ გამოსვლისა, ზოგიერთ ხელის მომწერს გაზეთის ფული არ გამოუგზავნია, გაზეთი კი შეუწყვეტლათ ეგზავნება, მიუხედავათ იმისა, რომ ფულის შემოტანა რამდენჯერმე გამოცხადებული გვქონდა. ახლა უკანასკნელათ ვაცნობებთ მათ ვისაც ჩვენი გაზეთი 1 მარტიდან მისდისთ თუ ძველს არ წარმოადგენენ,

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲐᲡ ᲨᲔᲕᲡᲬᲧᲕᲔᲢᲗ 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ.

1912 წელს არ მიუღიათ. მუშების მთელი მოთხოვნილება ეს იყო, რომლის პასუხის ვადათაც დირექციას ერთისთ ვის ვადა დაუდეს. ერთი თვის შემდეგ უსახელო საზოგადოების რწმუნებულმა რასინმა საზოგადოების სახელით მუშებს უარი უთხრა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

ამ ოთხის დღის წინათ მუშებმა ბ-ნს რასინს ხელმეორეთ წარუდგინეს 29 მუხლისაგან შემდგარი ახალი მოთხოვნილებანი და პასუხისთვის სამი დღის ვადა მისცეს, ე. ი. 9 ივლისამდი. მოთხოვნილებათა ოცდაცხრა მუხლი, რომელშიც შედის ერთი თვის წინად წარდგენილი ორ-მუხლიანი მოთხოვნილებაც, ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი გაზეთში.

გუშინ, დილის ექვს საათ ნახევარზე, ტრამვაის პარკში თავი მოიყარეს ტრამვაის ყველა განყოფილების მოსამსახურეებმა. ჩქარა მოვიდენ იქვე: ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებული რასინი, ტრამვაის დირექტორი ფ. პ. ტახტანჯიანცი, პოლიცმეისტერი პოლკოვ. ზდანოვსკი, პოლიცმეისტრის თანაშემწე კაპიტანი სტროევი და პოლიციელნი.

რასინმა შეკრებილთ წაუკითხა ბრიუსელიდან მიღებული პასუხი, რომლის შინაარსიც დაახლოებით შემდეგია: რადგანაც მუშებმა 5 ივლისს ახალი მოთხოვნილებანი გამოაცხადეს, ამიტომ საზოგადოების დირექცია საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს, რომ უსახელო საზოგადოებამ ჯერ კიდევ შარშან ბევრი ნივთიერი ზარალი იკისრა, რათა შარშანდელ გაფიცვისთვის ბოლო მოეღო; ამ ჟამად უსახელო საზოგადოება დაიცავს თვის კანონიერ ინტერესებს და თვით წარმოების არსებობას, რის გამოც იგი იძულებულია მუშებს მოთხოვნილებათა დახმარებაზე უარი უთხრას.

ამ პასუხის მოსმენის შემდეგ მუშები ჩუმად და წესიერების დაურღვევლად დაიშალენ. მთელ დღეს წესიერება არც დაურღვევიათ. სულ გაფიცულია 900-დი მუშა. გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებენ მხოლოდ ტრამვაის კანტორის მოსამსახურენი. პარკს, აგრეთვე საელექტრონო სადგურს, მეეზოვენი და პოლიციელნი დარაჯობენ.

გუშინ გაფიცვის ამბავი რასინმა ბრიუსელში შეატყობინა და სთხოვა, როგორ მოვიქცეო.

გუშინ ნაშუადღევს ქალაქში აღდგენილ იქნა „ლინეიკებისა“ და ძველი ეტლების მოძრაობა.

შარშანდელი გაფიცვა იმდენად მწვავე არ იყო მცხოვრებთათვის, როგორც წელს, რადგანაც იმ დროს თფილისში საგრძნობლად გრილოდა და შესაძლებელი იყო ფეხით სიარული.

გაფიცვა შარშან დაიწყო 26 აგვისტოს და გაგრძელდა 11 სექტემბრის შუადღის 12 საათამდი.

ამასთანავე ქალაქის გამგეობას განზრახვა ჰქონდა, დირექცია გაფიცვის დღეებისთვის დაეჯარიმებინა, რის მომხრეც იყვნენ ქალაქის იურისკონსულტი და რამდენიმე ხმოსანი, მაგრამ სხვადასხვა კომისიაში საკითხის განხილვის შემდეგ ქალაქის საბჭომ, ხმის უმეტესობით, გადასწყვიტა, დირექცია არ დაეჯარიმებია გაფიცვის დღეებისთვის, რადგანაც გაფიცვა საბჭოს უმრავლესობის მიერ მოულოდნელად იქნა აღსარებული. ამ რიგად ჯარიმა, რომელიც 100,000 მანეთამდი აღწევდა, დირექციას ასცდა.

გაფიცვამ შარშან მშვიდად და წესიერების დაურღვევლად ჩაიარა. გაფიცვის დაწყებისთანვე ადმინისტრაციამ 20-დი მუშა დაიჭირა და მათგან ცხრა კაცი სამართალში მისცა, როგორც დანარჩენ მუშების წამქეზებელნი ამ გაფიცვის მოსახდენათ. ბრალდებულთა საქმე ოლქის სასამართლომ ამ ორი-სამი თვის წინად გაარჩია, უდანაშაულოდ იცნო იგინი და სრულიად გაამართლა.

რუსეთი.

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

უმაღლესი ბრძანება დეპ. ჩხეიძის საქმის მოსპობის გამო.

პეტერბურგი. როგორც უკვე ცნობა იყო, სახ. საბჭოს პირველმა დეპარტამენტმა სოც. დემ. ფრაქციის თავჯდომარე ნ. ჩხეიძე 128 და 129 მუხ. ძალით პასუხის გებაში მისცა და თავისი დადგენილება უმაღლეს მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლათ. სააგენტოს დეპეშის ცნობით, უმაღლესმა მთავრობამ არ დაამტკიცა სახ. საბჭოს დადგენილება და ჩხეიძის საქმე სამუდამოთ მოსპო.

ჩხეიძეს დუმიდან გამორიცხვა მოელოდა.

კიდევ გრ. რასპუტინი.

იმ დროს, როდესაც მთელი ევროპა საერთაშორისო მდგომარეობაზე ლაპარაკობს, სწერს და კამათობს, რუსეთს აღელვებს... რასპუტინის დაჭრა და ილიოდორეს გაქცევა.

გრიგოლ რასპუტინი—ეს „ღვთის კაცი“--სრულიად უსწავლელი ციმბირელი მუჟიკია, სახელი გაითქვა რაღაც „საიდუმლო ძალით“, რომლითაც გადარია პეტერბურგის უუმაღლესი წრეების ქალები და შემდეგ ბრძანებელი შეიქნა მთელი სასულიერო წოდებისა. ვისიც მომხრე გრ. რასპუტინია, ის დაწინაურებულიც არის; ვისაც რასპუტინი არა სწყალობს — მან გუდა ნაბადი უნდა აიკიდოს ეპისკოპოზი კი არა, პირველ ხარისხოვანი მოხელეც რომ იყოს. ასეთია რუსეთის სინამდვილე, თუმცა საოცარი და საკვირველია.

დღეს დაჭრილი გრ. რასპუტინი ტობოლის გუბერნიის ქალაქ ტიუმენის საავათმყოფოში სწევს. უკეთობა ეტყობა. მახლობლებს გარდა არავის ნახულობს. მასთან არიან მისი ცოლი, უფროსი ქალიშვილი და ქ-ნი პატუშინსკისა.

მის სანახავათ ყოველდღე მოდიან ტობოლის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი პოლუბოტკო და გამომძიებელი ომელჩენკო.

ილიოდორეს გაქცევა.

გრ. რასპუტინის დაჭრის შემდეგ ცნობილი ბერი ილიოდორე თავის სავანედან გაჰქრა. მთელი რუსეთის პოლიცია ფეხზე სდგას და აქამდი მის ასავალ-დასავლისთვის ვერ მიუგნიათ.

ზოგი იძახის როსტოვში ვნახეო, ზოგი კი დანამდვილებით ამბობს, ცარიცინში უნდა იმალებოდესო.

ილიოდორე და საქეიფო ადგილები.

ილიოდორეს ისე გასჭირებია ცხოვრება, რომ გადაუწყვეტია კაფეშანტანების სცენაზე გამოსვლა.

აი რას მოგვითხრობს მისი რწმუნებული ფოტოგრაფი ივანოვი: როსტოვში ვიყავ გაგზავნილი, იქაურ კაფეშანტანის „ბუფის“ პატრონს მოველაპარაკე, რომ მოეწყო ილიოდორეს გასტროლები.

ილიოდორე გამოვიდოდა სცენაზე, გაივლ-გამოივლიდა და იტყოდა.

— გამარჯვებათ რუსეთის ხალხო! ამის მეტი სათქმელი არა ექნებოდარა. ამგვარ სამ გამოსვლაში უნდა აეღო ხუთასი მანათი.

ამგვარად ილიოდორეს უნდა ჩამოევლო როსტოვი, ტაგანროგი, კიევი, ხარკოვი. ივანოვმა საქმე უკვე მოუწყო, მაგრამ როცა იგი როსტოვიდან დაბრუნდა ილიოდორე სავანეში აღარ დახვდა. იგი სადღაც გაიქცა.

საქეიფო ადგილების ანტრეპრენიორები ჯავრით აღარ არიან, რომ შემოსავლის წყარო დაეხშოთ.

გაფიცვა.

ეკატერინოდარში მეორე დღეა ქარხნები და სამრეწველოების მუშები გაფიცულებია, დღეს სტამბებიც გაიფიცენ. ტრამვაის გაფიცვა დასრულდა. მოსამსახურეთა მოთხოვნილება ნახევრად დააკმაყოფილეს.

ბას, საუბედუროთ, ის შედეგი მოყვა, რომ ყოველ მეცნიერს თავისი რიცხვი გამოუვიდა, მაგ., **ბენეტ-დოულერ‘მა**, რომელმაც მდინარე მისისიპის შესართავში მოახდინა თხრა, გამოიანგარიშა, რომ, რადგანაც ადამიანის ძვლები შესართავის დიდ სიღრმეში აღმოჩნდა, შესართავი (დელტა) კი უცილობელათ ადამიანის იქ ცხოვრების შემდეგ გაჩნდებოდა, ამისათვის 57.000 წელი უნდა გასულიყო ადამიანის იქ ყოფნის შემდეგ, ვიდრე ჩვენ დრომდიო. **კროლი** კი სხვა მეთოდს ღებულობს: რადგანაც ყინვის ეპოქა შედეგია (მხოლოდ მისი აზრით) ჩვენი პლანეტის სრბოლის ექსცენტრიციტეტობისა, ყინვიანობის ეპოქა უნდა ყოფილიყო 850.000--254.000 წლის წინ. პირველათ ადამიანი ჩნდება მისი იარაღების ნაწილის გამოკვლევით 100.000 — 200.000 წლის წინ. საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი მორტილე [1]) ეყრდნობა სავოიაში ნაპოვნ კირულ მთების სივარსნეს, რაც ყინვის მუდმივი ფხეკნის ბრალია. რადგან ამ კირულ ნაწილებში ადამიანების იარაღებია ნაპოვნი, ნაწილები კი, მისი აზრით, 230—240.000 წლისა არიან. ადამიანიც ამ ხნის წინათ უნდა გამოსულიყო ცხოვრების ასპარეზზეო. **მორტილე** ყოფს დილუვიის ეპოქას ოთხ ხანათ: შელესა, მუსტერისა, სალუტრესა და მადალენის [2]) ხანები, რომელთა დაწვრილებით დახასიათებასაც აქ არ შევეხებით [3]) მაგრამ ყველა ამ გამოანგარიშებას მხოლოდ სუბიექტიური მნიშვნელობა თუ აქვს, თორემ საერთოდ არც ერთი რიცხვი არაა ჯერ მეცნიერებაში მიღებული. შემდეგ დაისვა საკითხი, — ნამეტნავად 1856 წ., როდესაც იპოვეს „ნეანდერტალის თავის ქალა“ — რა რასის იყო პირვანდელი ადამიანი?. ამ საკითხის გადასაწყვეტათ ჩვენ ხელითაა მთელი რიგი ნაპოვნ თავის ქალათა. პირველათ კრანიოლოგია დაუახლოვა პრეისტორიას შვეციის ანატომმა რეტციუსმა, რომელმაც ის დასკვნა გამოიტანა, რომ პირვანდელი ევროპიული რასა მოკლეთავიანები (Brachycephaloid) ყოფილანო, [4]) რის გამოც ახლანდელი მოკლეთავიანები, ფინები, ლაპები და ბასკები მხოლოდ ნაშთები არიან გამქრალ მოკლეთავიანთა რასისაო. ახლანდელი გრძელთავიანები არიელების მოდგმისა არიანო და სხვ. მაგრამ მისი მიმღეობა, რომ პირვანდელი რასა მხოლოდ მოკლეთავიანი იყო, არ გამართლდა. მის შემდეგ აღმოაჩინეს მრავალი სხვა თავის ქალაც (რეტციუსის დროს მხოლოდ 2 ეგზემპლიარი ქონდათ), რომელთა საშუალებით დამტკიცდა, რომ გძელთავიანობა კანონია პირვანდელ რასისათვის. ახლა დაიწყეს გაარჩიონ ერთ პირვანდელის მაგიერ, რამოდენიმე პირვანდელი რასები [5]). კვატრეფაჟ‘მა და ჰემი‘მ წამოაყენეს სამი რასა.

1) კონსტატისა (გრძელი და დაბალი ქალა, საშუალო სიდიდისა, ესკიმოთა თუ აუსტრალელზანგთა გვარი).

2) ერო-მანონისა (ქალა იპოვეს სხვაგანაც დორდონ‘ში, საფრანგეთში) გრძელთავა, მაღალი აგებულობის, კაბილების გვარისა).

3) ფუფუზისა (იპოვეს აგრეთვე ფრონტალში, ნამურ‘ში და სხვ. მოკლეთავიანი, პატარა, ლაპლანდელთა გვარი).

ფრიად მოსაწონისი და ჭკუა მახვილოვანი იყო მეცნიერიბისათვის ეგ კლასიფიკაცია, მაგრამ ამ უკანასკნელმა მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ ჯერჯერობით სინტეზის ნაადრევია და საჭიროა თვით მასალათა დაგროვება და შესწავლა რაც შეიძლება დაწვრილებით. ის საკითხიც გადაუწყვეტელია, თუ რა დამოკიდულებაშია თანამედროვე ევროპიელი პირვანდელ კულტურის ევროპიელებთან. გაქრენ ის პირვანდელები და დაუთმეს ადგილი სხვა რომელიმე გარედან შემოსეულ რასას თუ განაგრძობენ არსებობას თანამედროვე ევროპიელთა სახით? ამ საკითხზე დღემდი ვერც ერთი მეცნიერი ვერა რას გიპასუხებდათ დარწმუნებით. ჰიპოტეზებით კი ყველა მათგანი თავისებურათ გაისჯებოდა საკითხი გადაეწყვიტა ხოლმე. ახლა კი, გოდოგნის გათხრის შემდეგ ამ საკითხს ერთი მკრთალი, მაგრამ მაინც ოდნავათ საიმედო ნათელი ეფინება. — ამ ხუთი წლის წინათ აღმოაჩინეს სამხრეთ საფრანგეთში ერთგვარი ქვის ხანა ადგილ ორინიაკ‘თან (Aurignac), იქ აღმოჩენილ კულტურასა და რასას უწოდებენ ამ ადგილის სახელს. ამგვარი კულტურა და იქ ნაპოვნ თავის ქალათა გვარი ქალაც ბევრ სხვა ადგილებშიც იპოვეს: ავსტრო-უნგრეთში, გერმანიაში და ევროპის სხვ. ნაწილებში. გოდოგნის ნაშთების მნიშვნელობაც იმაში მდგომარეობს, რომ 1) პირველათ აქ მტკიცდება ყინვის ეპოქის პალეოლითური ხანის არსებობა აზიაშიც; 2) აქ ნაპოვნი ნაშთები სწორეთ იმ გვარია, როგორც ორინიაკისა! [8]) მაშასადამე, აქ და მთელ ამიერკავკასიაში ე. ი. საქართველოში, ამ აზიის ერთ ნაწილშიც მეფობდა 40—50000 წლის წინ იგივე კულტურა, როგორც ევროპაში. რადგან სხვ. და სხვ. ადგილის კულტურული ერთგვარობა არ ადასტურებს კულტურის სუბიექტის იგივეობას, ეჭვს შეიტანებენ და იტყვიან იქნებ ეთნიურათ სხვ. და სხვ. ხალხმა შეითვისა ურთიერთიდან რომელიმე კულტურაო, მაგრამ აგეთი მიმღეობა იწვევს ფრიად საეჭვო მიმღეობათა მთელი რიგს: რომ მიმოსვლა, ურთიერთობა მაშინდელ დროში იმდენათ ინტენსიური, ხანგრძლივი და დაჟინებითი (constenv) იყო, რომ აგეთი ზეგავლენა და გადმოღება შესაძლო ყოფილიყო. აგეთი მიმღეობა კი სრულიათ უსაფუძვლოა: როგორც ვიცნობთ მაშინდელ კულტურას, ადამიანი იმყოფებოდა მაწანწალობის მდგომარეობაში, დაწანწალებდა საკვებ ადგილების საშოვათ (ნადირობით) და ჩერდებოდა ერთ ადგილს მხოლოთ მანამდი, მინამ ადვილათ, მაშინდელ განუვითარებელ იარაღებით საშოვი საკვები არ გამოელევოდა, შემდეგ ისევ განაგრძობდა თავის მაწანწალობას. ასე რომ გადმოღების მიმღეობა თავის თავათ ირღვევა, რჩება მხოლოთ ერთი ახსნა, უნდა მივიღოთ ზემოაღნიშნულ კულტურის სუბიექტთა იგივეობა. მაშინ ისმება საკითხი, როგორ მოხდა რომ ერთი და იგივე რასამ სივრცით აგრე დაშორებულ ადგილებში იჩინა თავი? აქ უნდა გავითვალისწინოთ ფოთი-რიონის ვაკე, რომელიც თავისთავათ შემაერთებელ ხიდათ ჩაითვლება იმ მაწანწალა ხალხისთვის, რომელიც მიეშურება ევროპიდან აზრისაკენ[9]). **ამგვარ კავკასია იყო კულტურული ხიდე არათუ ისტორიულ არამედ ისტორიის წინამორბედ ხანებშიც (პრეისტორიაშიც)!**

დოქტორი ტ. მარგველაშვილი.

S. P. გოდოგნის გამოქვაბული მხოლოდ ნაწილათაა გათხრილი (საჭიროა მისი სხეული გათხრა და ნაშთების სავსებით წამოღება, ვიდრე რომელიმე უცხოელი ჩამოვიდოდეს და მათ სადმე უცხოეთში წაზვეტდეს. ამის გარდა მასალების სიმრავლე პირველი საფუძველია მიჩნეულ მეცნიერების გავითარებისა და ამა თუ იმ ქვეყნის არქეოლოგიურათ გამოკვლევისათვის.

გამოქვაბულის ნაწილთა ურთიერთობის გეგმას, რომელიც დამიტოვა დოქტორ შმიტმა, გადიდებისა, შეფერადებისა და ცოტაოდენ შესწორების შემდეგ გადავცემ ეთნოგრაფიულ საზოგადოებას. აღვნიშნავ, რომ გეგმა ასურათებს გამოქვაბულის მდგომარეობას შმიტის მიერ დაწყებულ გათხრის დროს.

---

[1] Mortillet le Prehistorigue, antiguite‘ de l'homme.

[2] Chelleen, Mousterien, Saloutreeu et Magdalenieu.

[3] მსურველთათვის მოვიყვან ვენის პროფესორის და საუკეთესო სპეციალისტის წიგნს: Dr. M. Hoernes Die Urgeschichte des Menzchen გვ. 183 შემდ.

[4] ის ეყრდნობოდა მის წინამორბედ ნილსონის გარჩევას მოკლეთავიან ლაპლანდიელთა და გრძელთავიან შვეციელებთა შორის მოკლეთავიანს რწოდებს ისეთს რომლის თავის ქალის სიგრძითი და განდაგანი ზომა ერთი და იგივეა; გრძელთავიანს კი სიგრძითი მეტი აქვთ განდაგანითზე.

[5] პირველობა ამ საქმეში ეკუთვნის Quatrefages et Hamy Crania ethnica (1873—1882).

[6] Aurignackultur, Aurignacrasse.

[7] ინდოეთშიც ნახეს ამ ცოტა ხნის წინათ, მაგრამ ნაშთები საეჭვო და უმნიშვნელოც გამოდგა.

[8] საუბედუროთ ხელთა არა აქვს ორინაკის ნაშთების პუბლიკაცია, ვხელმძღვანელობ შმიდტის მიერ სიტყვით გადმოცემულ შედარებით

[9] ევროპიულ მეცნიერებაში საერთოდ გავრცელდა ამ უკანასკნელ ათიოდ წლებში, ის აზრი რომ ისტორიის წინამორბედ ხანის ხალხის მაწანწალობა ევროპიდან აზიისკენ ხდებოდა. შესაძლებელია ეს აზრი მისთვის იყოს ასე გავრცელებული, რომ ამ ბოლო ხანებში სწორედ ევროპა შეისწავლეს ზედმიწევნით შეისწავლეს არქეოლოგიურად. სადაც უნდა იყოს გამოსავალი პუნქტი, აზია ევროპის შემაერთებელ ასპარეზად მაინც კავკასია, რამდენათაც ჯერითი ნაშთები გვასწავლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზომიერ ფასებში** საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის დანები**, მიღებულია და იყიდება პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключнтельно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ, ფილიპოვი.

უცხოეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

კონფერენცია ჰომრულის შესახებ.

ამბობენ, რომ ჰომრულის შესახებ კონფერენციაზე ძლიერ მეგობრული საუბარი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ უთანხმოების მოსპობის საქმე წინ მიდის.

მეფემ მიიღო ჰომრულის კონფერენციის წევრები და დიდხანს ისაუბრა მათთან კონფერენციის მოწვევის მიზანზე. კონფერენციის მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. ხვალ ახალი სხდომა მოხდება.

კონფერენციის თავჯდომარეთ დანიშნული სპიკერი, კონფერენციის გახსნამდი ერთი საათით წინ ბუკინგემის სასახლეში მივიდა. სასახლესთან იმდენი ხალხი იყო შეგროვილი, რომ სპიკერს გვერდის კარებიდან მოუხდა შესვლა. შემდეგ მოვიდენ დილლნი, ბონარ ლოუ, კრეგი და კარსონი ერთად, ლორდ ლენდსლოუნიც მათ მოჰყვა. უკანასკნელები მოვიდენ ასკვიტი და ლოიდ-ჯორჯი. დელეგატები მეფემ ინახულა. კონფერენციის კრებები დასრულდა.

ქვედა პალატაში ეკლენდი უპასუხებს ეპირელების სიმკაცრის შესახებ შეკითხვაზე. იგი ამბობს, რომ სამხრეთ ალბანეთიდან მოსული ცნობები ძლიერ შემაშფოთებელია, მაგრამ იგი აღმოცენებულია კერძო წყაროებიდან, ამიტომ ნამდვილად ვერ ჩაითვლება. გრეი ამ საკითხის გამო სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს შეეკითხა: დურაცოში მდგომარეობის შესახებ ეკლენდმა განაცხადა, რომ დურაცოს ჯერ კიდევ მეამბოხეთა ალყა აქვს შემორტყმული, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ისინი არ სცდილობენ თავდასხმას. ბონარ-ლოუმ კონფერენციის შესახებ განაცხადა, რომ ოპოზიცია ლოიალურად იღებს აღსასრულებლად მეფის განკარგულებას.

რედმონდმა ლიბერალების ხმა მაღლა თანაგრძნობა გამოიწვია განცხადებით, რომ ის და მისი მეგობრების ნაციონალისტების პარტიიდან პასუხს ვერ აგებენ იმ პოლიტიკისათვის, რომელიც გამოიხატა ბუკინგემის სასახლეში კონფერენციის მოწვევაში. კონფერენციაზე მიწვევა მეფის ბრძანების სახითაა დაწერილი, ამიტომ ნაციონალისტები დაუყონებლივ დაემორჩილებიან მას. დამოუკიდებელმა ნაციონალისტმა ჯინელმა შეკითხვა შეიტანა: ყოფილი თუ არა პრეცენდენტი, რომ პირველს მინისტრის მეფისათვის რჩევა მიეცეს სათავეში ჩაუდგეს პალატის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო შეთქმულებას? ეს შეკითხვა უპასუხოდ დასტოვეს. შესწორებული ბილის მეორე კითხვა გაიდევა. პალატა სხვა საკითხთა განხილვას შეუდგა.

ლორდთა პალატას ლორდ კორტნეიმ აღძრა საკითხი მინისტრების პასუხისგებისა ბუკინგების სასახლის კონფერენციის მოწვევისათვის. ლორდ კრიუმ უპასუხა, რომ კონფერენცია მინისტრთა პასუხისმგებლობის მოსპობას და აწ საკონსტიტუციო ნორმების გზის გადახვევას სრულებითაც არ ნიშნავს. არავის არ სურს პარლამენტის ავტორიტეტის შელახვა.

დაბა-სოფელი.

ნიგოითი (გურია). ნიგოითის რკინისგზის მახლობლათ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა და კარგა მოზდილი ბაზარი. ხსენებული ბაზრის ვაჭრები მოკლებულია ყოველგვარ კულტურობას. აქ არსებობდა წიგნსაცავ-სამკითხველო, მაგრამ ამას ხომ კარგა ხანია მოეღო ბოლო, რადგანაც ამის არსებობა ნაკლებათ აინტერესებდა ზემოხსენებულ ვაჭრებს. აქაური მცხოვრებლების ერთადერთი მანუგეშებელი სიმინდის მოსავალია, რომელსაც ძალიან ცუდი პირი უჩანს, რადგანაც მთელი ივნისის განმავლობაში გამუდმებით წვიმდა. ბევრმა დათესვაც ვერ მოასწრო, და რომელმაც მოასწრო, ისიც უიმედოთ ჩაითვლება. ამას კიდევ უარესი უბედურება დაერთო, ივნისის დამლევს ნაშუადღევს წამოვიდა საშინელი კოკისპირული წვიმა, რომელმაც მეორე დღის თორმეტ საათამდი გასტანა. ადიდდა საშინლად პატარა მდინარეები (ღელეები) წალეკა ყველაფერი. საზარელ სურათს წარმოადგენდა დაბლა ჭალები, როდესაც წყლით იყო მოცული მთელი არე-მარე; ძნელი წარმოსადგენია ამ დროს აქაური მცხოვრებლების უნუგეშო მდგომარეობა, როდესაც შესცქეროდენ თავის ნაოფლარს წყალში შეცურებულს; მათ კვნესასა და ოხვრას საზღვარი არ ქონდა.

მცხოვრებლები ხვნა-თესვას გარდა პარკის მოყვანასაც მისდევენ. მაგრამ აქაც ხომ ბედის უმადურები დარჩენ, აქაური ვაჭრების წყალობით. საზოგადო სასწორი არ არსებობს, რომ კაცმა თვალყური ადევნოს წონას, ისე კი რა იქნებოდა ყველასთვის აშკარაა. ეს არ ეპატიება ადგილობრივ ინტელიგენციას.

აქ სოფ. ქვიანში არსებობს კოოპერატიული დაწესებულება. როგორც ანგარიშებიდან ჩანს, საქმე კარგათ მიმდინარეობს და, იმედია, მომავალში ხალხის თანაგრძნობას მიიზიდავს. სხვათა შორის, არსებობს წიგნსაცავ-სამკითხველოც. თუმცაღა აქ სხვადასხვა ქართული გაზეთი მოდის და მასთან რუსულიც, მაგრამ სამკითხველო ვერ არის რიგზე მოწყობილი. სამკითხველოს სასარგებლოთ ზოგიერთი პირის მეთაურობით გაიმართა წარმოდგენა 28 ივნისს ბ. ა. ჯაყელის რეჟისორობით. წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი დრამა „ბატონი და ყმა" და ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დატრიალდა ჯარა". წარმოდგენამ საზოგ-დოთ კარგათ ჩაიარა, ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში.

ქართველი.

ანგარიში

ქუთაისის ღარიბ ბავშთა სამზრუნველო საზოგადოების გამგეობის მიერ ქალაქის ბაღში 25 მაისს გამართულ სეირნობისა.

(დასასრული იხ. „იმერეთი" 101-ე №.)

ფეიქაროვმა 8 მ., რიჟინაშვილმა 2 მ. და 2 აბ. მამაჯანოვმა 5 მ., კიკვაძემ 2 მ., ბექაიამ 6 მ., „პროვოდნიკმა" 5 მ., ძმ. სააკაშვილებმა 3 მ. 1 აბ., მარდახ ფიჩხაძემ 2 მ. და 2 შ., სამსონ ბოკერიამ 2 მ., ძმ. ფიჩხაძეებმა 2 მ., მარდახ ციციაშვილმა 2 მ., მ. მოშიაშვილმა 1 მ. და 3 აბ., თავდიდიშვილმა 3 აბ., ი. სადიაშვილმა 1 მ., მიკინულოვმა 1 მ., ძმ. ფიზიცკებმა 10 შ., ს. რუხაძემ 2 მ., ზ. ეფრემოვმა 2 მ. და 10 შ., ამირაღოვმა 1 მ. და 10 შ., იაკობიშვილმა 1 მ. და 4 აბ., ხაზარაძემ 1 მ. და 1 აბ., ს. რიჟინაშვილმა 1 მ. და 1 აბ., ჯანელიძემ ერთი კოლოფი; ეფრაიმმა 1 მ., პატარიძემ 1 მ., ციქორიძემ 1 მ. და 3 აბ., ი. ვოლოხმა ერთი საშაქრე; კაპანაძემ 2 მ., ელიგულაშვილმა 2 მ. და 10 შ., მაღაზია „პროგრესმა" 1 მ. და 1 აბ., ჩიხლაძემ და ბეშვენაძემ 1 მ. და 4 აბ., ი. იაკობიშვილმა 1 მ. და 1 აბ., ლეჟავამ 1 მ. და 4 აბ., ი. კემულარიამ 2 მ. და 10 შ. და ერთი ბატკანი; ციბაძემ 1 მ., მოწონელიძემ 1 მ. და 3 აბ., ერიკოვმა 1 მ. და 1 აბ., დ. ბახტაძემ 2 მ. და 1 აბ., ამხანაგობა „დოვერიემ" ბავშვის კალოში; პარიკმახერ „მარგველაშვილმა" 6 შ., კეპულაძემ 1 მ., პარიკმახერ „პრიმუსმა" 1 მ. და 1 აბ., უკრაინცევმა სამი წყვილი ქალის ჩულქი; ფ. ს. ფილიპოვმა 10 მ, მაღაზია „შიკმა" 5 მ., ზინგერის მაღაზიამ 4 აბ., ნ. ჯანელიძემ 7 მ., ძმ. ბუტულოვებმა 4 მ. და 1 აბ., კემულარიამ 3 მ., გასპაროვმა 3 მ., „აბრეშუმმა" 1 მ. და 2 აბ., რაჟდენ თუროქიამ 8 მ., კასიანმა 2 მ., მირაქოვმა ერთი ალბომი და ერთი ფინჯალი; ჩხეიძემ 2 მ. და 10 შ., მაღაზია „ელეგანტმა" 1 მ. და 10 შ., ტუტუნჯიანმა 10 შ., შოთაძემ 1 მ. და 3 აბ., ტერკმა 4 მ. და 1 შ., მაჭარაძემ 1 მ. და 3 აბ., ბერეჩიკიძემ 1 მ. და 1 აბ., კრუტიკმა 1 მ. 1 აბ., ფალაშევმა 2 მ. და 2 შ., ამაღლობელმა 1 მ. და 14 შ., დათეშიძემ 2 აბ., აუშტროვმა 3 მ., ასათიანმა 2 აბ. აბაზ სადიკოვმა 14 შ., კაპანაძემ 5 მ., ბასილაძემ და კილასონიამ 4 მ. და 1 აბ., კოგანმა ერთი „ბროშკა" კუზანოვმა 5 მ. 11 შ., გორდაძე და წერეთელმა 4 მ. და 2 აბ.

გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველს და იმ პირთ, რომელთაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა სეირნობის გამართვაში და ვინც დაესწრო სეირნობას.

გამგეობის თავჯდომარე კ. მოსიძისა.
მდივანი დ. მანუილოვი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

ქუთაისში
მ. ლაღიძის
საუკეთესო ხილის წყალი
ქარხანა
თბილისში

ახალი უვნებელი საშუალება
რძე პირისახისათვის „ბეტტი"
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე, მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. ტფილისში ლიბის აფთიაქი **ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი და პ. შავერზოვი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა.**

სპეციალური წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	ფოშტის დილის	11 საათ. 55 წ.
	ჩქარი ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო დილის	10 საათ. 10 წ.
	სახალხო ღამით	1 საათ. 7 წ.
ბათომს:	ფოშტის საღამოს	5 საათ. 30 წ.
	ჩქარი ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო საღამოს	8 საათ. 35 წ.
	სახალხო დილის	4 საათ. 20 წ.
ფოთს:	სახალხო საღამოს	4 საათ. 14 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო დილის	4 საათ. 27 წ.
	ფოშტის საღამოს	5 საათ. 30 წ.
	სახალხო საღამოს	8 საათ. 35 წ.
შორაპანს:	სახალხო დილის	5 საათ. 00 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	6 საათ. 50 წ.
	სახალხო საღამოს	4 საათ. 20 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	ფოშტის საღამ.	6 საათ. 57 წ.
	ჩქარი ღამით	3 საათ. 50 წ.
	სახალ. საღამოს	9 საათ. 44 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ. 50 წ.
ბათომიდან:	ფოშტის დილით	1 საათ. 25 წ.
	ჩქარი ღამით	3 საათ. 50 წ.
	სახალხ. დილით	11 საათ. 40 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 23 წ.
ფოთიდან:	სახალხო დილით	10 საათ. 3 წ.
	ფოშტის დილით	1 საათ. 25 წ.
	სახალ. ღამით	2 საათ. 23 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ. 50 წ.
შორაპნიდან:	სახალხო დილ.	9 საათ. 18 წ.
ტყიბულიდან:	სახალხო საღამ.	5 საათ. 18 წ.
	სახალხო დილით	9 საათ. 38 წ.

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.